## თბილისის "დინამო" _ მეოთხედფინალში

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 2 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (ქუთაისი) – 0:0.

"დინამო": ურუშაძე, ჩიტაური, კანთელაძე, პეტრიაშვილი, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე, კუტივაძე, ილიადი, მჭედლიშვილი, გავაშელი (ღოღობერიძე), ლ. ნოდია.

"ტორპედო": გრძელიშვილი, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქორიძე.

მსაჯი: ა. მილჩენკო (სოხუმი).

საკავშირო თასის გათამაშების მეორე მერვედფინალური შეხვედრის წინ წვიმამ მინდორი დაასველა და თამაშიც გაძნელდა. ამის მიუხედავად, მეტოქენი ენერგიულად ჩაებნენ ბრძოლაში. ქუთაისელებს მეოთხედფინალისკენ გზა მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ეხსნებოდათ. თბილისელებს ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ კარგად იცოდნენ, რომ აგრესიულ მეტოქესთან ზავისთვის თამაში ხშირად მარცხით მთავრდება. ამიტომ მათ გამოწვევა მიიღეს და საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა მაინც დაიკარგა, რაშიც მთავარი დამნაშავე მეკარეების კარგი თამაში და თავდამსხმელთა უზუსტო დარტყმები იყო.

შესვენებამდე დინამოელების ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობა იგრძნობოდა. ისინი უფრო მეტ სახიფათო მომენტს ქმნიდნენ, კარშიც შედარებით ხშირად ურტყამდნენ, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ. ხელსაყრელი მომენტი გაუშვა მე-12 წუთზე გავაშელმა, როცა ნოდიას რეიდის შემდეგ ჩაწოდებული ბურთი მიიღო, შესანიშნავად დაამუშავა და ზუსტად, მაგრამ სუსტად დაარტყა. ექვსი წუთის შემდეგ გავაშელმა ბურთი ქუსლით მიაწოდა კარგ მდგომარეობაში მყოფ ნოდიას, მაგრამ შედეგი არც ამ ცდას მოჰყოლია. 29-ე წუთზე ნოდიას დარტყმული ბურთი ზედა ძელზე აცურდა და მინდორს დაუბრუნდა. შესვენებამდე 5 წუთით ადრე წვერავამ თავისი გუნდის კარი აშკარა გოლისგან იხსნა.

სტუმრები უფრო იშვიათად, მაგრამ საკმაოდ მწვავედ უტევდნენ და, როცა თბილისელთა კარს გასაღები ვერ მოუძებნეს, მისი შორიდან დაბომბვა დაიწყეს.

მეორე ნახევარი დიდხანს დუნედ მიმდინარეობდა. შემდეგ თამაში ისევ გამოცოცხლდა, დაიძაბა და უპირატესობას ქუთაისელები დაეუფლნენ. ისინი ახლა უფრო ხშირად აწუხებდნენ ურუშაძეს.

მატჩის 78-ე წუთი მიმდინარეობდა. მარცხენა ფრთიდან "ტორპედოს" კარში ჯარიმა დაინიშნა. მაღალ ბურთზე გასული გრძელიშვილი შეცდა, მაგრამ ეს დაუდევრობა სხარტი ნახტომით გამოასწორა და კარისკენ მიმავალ ბურთს ბოლო მომენტში დაეუფლა.

შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე "დინამოს" საჯარიმო მოედანზე შექმნილ არეულობაში ნოდიამ ბურთი თბილისელთა კარში გაგზავნა. ამას თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა ქორიძემაც (ამ დროს ოქროპირაშვილიც თამაშგარე იყო) თავური დარტყმა დაუმატა. ბურთი ბადეში გაეხვია, მაგრამ მსაჯმა გოლი სამართლიანად არ ჩათვალა.

საკავშირო თასის წლევანდელი გათამაშების დებულების ძალით (თუ გამარჯვებული ვერც ერთმა მატჩმა ვერ გამოავლინა, უპირატესობა იმ გუნდს მიენიჭება, რომელსაც სსრ კავშირის ნაკრებში მეტი ფეხბურთელი ჰყავს) "დინამო" მეოთხედფინალში გავიდა.

**ო. გელაშვილი.**
**"ლელო", 4 ივნისი, 1970 წ.**